გაეცანი კომიტეტების საქმიანობას ვებ-გვერდზე:

sca.ge

ჩაერთე უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში პორტალზე:

chaerte.sca.ge

მისამართი:

ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N 37

ტელ: (+995 322) 28 54 48 / (+995 322) 28 54 89

contact@sca.ge

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

უმაღლესი საბჭოს კომიტეტები

ევროკავშირი საქართველოსთვის

Project funded by the European Union

IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

UNDP

ეს პუბლიკაცია მომზადებულია აჭარის უმაღლესი საბჭოს მიერ, ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამის და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მხარდაჭერით და, შესაძლოა, იგი არ გამოხატავდეს მათ შეხედულებებს.

რა არის კომიტეტი?

აჭარის უმაღლესი საბჭოს კომიტეტები წინასწარ ამზადებენ საკანონმდებლო წინადადებებს და ხელს უწყობენ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლს. ისინი აკონტროლებენ აჭარის მთავრობისა და სხვა ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობას. კომიტეტებს გააჩნიათ წარმომადგენლობითი ფუნქციები. ისინი ხელს უწყობენ საზოგადოების ჩართულობას მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში.

უმაღლესი საბჭოს კომიტეტები:

- აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა
- ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა
- განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა
- საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა
- საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკური საკითხთა
- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა

შემადგენლობა

კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება ფრაქციათა წარმომადგენლობისა და დამოუკიდებელი დეპუტატების რაოდენობის პროპორციულად.

ამჟამად კომიტეტების შემადგენლობაში 5-6 დეპუტატია.

უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია, იყოს არანაკლებ ერთი კომიტეტის შემადგენლობაში.

კომიტეტი საგაზაფხულო სესიის დაწყებამდე ამტკიცებს წლიურ სამოქმედო გეგმას, რომელიც ქვეყნდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

მთავარი ფუნქციები

- საკანონმდებლო აქტების, დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების პროექტების შემუშავება
- კანონპროექტის განხილვა
- დასკვნებისა და შენიშვნების მომზადება
- კანონის აღსრულების კონტროლი და შესაბამისი დასკვნის მომზადება
- უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი კომიტეტის პასუხისმგებლობის სფეროში
- კანონქვემდებარე აქტების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება
- აჭარის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოების საქმიანობის კონტროლი

უმაღლესი საბჭო იკრიბება საგაზაფხულო სესიაზე, რომელიც იხსნება მარტის პირველ სამშაბათს და იხურება ივნისის მესამე ხუთშაბათს; და საშემოდგომო სესიაზე, რომელიც იხსნება სექტემბრის პირველ სამშაბათს და იხურება დეკემბრის მესამე ხუთშაბათს.

სხდომები

სასესიო პერიოდში კომიტეტი თვეში მინიმუმ ერთ სხდომას მართავს.

კომიტეტის სხდომის მოწვევა შეუძლია კომიტეტის თავმჯდომარეს:

- საკუთარი ინიციატივით
- კომიტეტის წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით
- უმაღლესი საბჭოს ბიუროს დავალებით

კომიტეტის სხდომა საჯაროა და დასწრება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

დაუშვებელია კომიტეტის სხდომის დახურვა კანონპროექტის განხილვისას.

კომიტეტს შეუძლია გამართოს გასვლითი სხდომა.